

იონა გეგნაძე

საქართველოს  
ქვეყნის


თბილისი 1937

იონა მეუნაკობია

ა ზ ე ქ ს ა ნ ღ რ ე  
ჭ ა ვ ჭ ა ვ ა კ ე

44816

სოლ. ცაიშვილის  
რედაქციით და შენიშვნებით



სამეცნიერო მუზეუმი

თბილისი

1 9 3 7

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. გამ-ბა „ზ. ვ.“-ის სტამბა.  
მთავლიტის რწმ. 10510 შევკ. 3655 ტირაჟი 4000



ალექსანდრე ჭავჭავაძე

შესრულდა 150 წელი ალექსანდრე  
ჭავჭავაძის დაბადებიდან და 90—გარდა-  
ცვალებიდან. მცირე, მაგრამ მაინც გან-  
ძად ჩაითვლება ეს დაგვიანებული ძღვენი  
ალ. ჭავჭავაძის შესასწავლად ატეხილ ყი-  
ნიან სურვილისათვის.

ს. ც.

ნომბრის 12—1936 წ.

## შენიშვნები

არც ერთ ჩვენს მოღვაწეს, ქართული ლიტერატურის ვრცელ ჰორიზონტზე გამოჩენილ ფიგურას, მწერალ-მემატიაწიანთაგანს არ განუხრახავს, ან მიზნად არ გაუხდია, — როგორც ეს სხვა მოწინავე ქვეყნებში ხდებოდა, — ჩვენი სამშობლოს დიდი მწერლების და შესანიშნავ ადამიანთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის სრული ისტორიის, მათი ბიოგრაფიის ისე შედგენა-დასურათება, რომ ყოველი მკითხველისა თუ შემდგომი მკვლევარისათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო საკვლევითი მეთოდის მიერ გატარებული სიცოცხლის დღეების დამარცხვა.

დღეს ყველასათვის ნათელია, რომ მწერლის შემოქმედებაში მის პირად ცხოვრებას, საზოგადოებრივ ურთიერთობაში ტრიალს და მის ოჯახურ, შინაურ-საყოფაცხოვრებო შტრიხების აღწერასაც კი, მხატვრული შემოქმედების გარეგნისათვის საკმაო მნიშვნელობა აქვს; შემოქმედის ბიოგრაფიის ცოდნა აუცილებელია მისი ნაშემოქმედარის კრიტიკისათვის, უამისოდ ეს კრიტიკა ვერ იქნება დეფექტებისაგან დაზღვეული.

ამას კარგად გრძნობდა ჩვენი ახალი მწერლობის პირველი მემატიაწი (თუ შეიძლება ასე ითქვას) იონა

მე უნარგია, როცა წინამდებარე შრომას, ბეცხრა-  
მეტე საუკუნის პირველი ნახევრის თვალსაჩინო პოეტის  
ალექსანდრე ქავჭავაძის ბიოგრაფიას შემდეგი სიტყვ-  
ებით იწყებდა: „ცხოვრებას აღწერა ჯერ არ შედგენი-  
ლა. სურათები, ლიტერატურული მოკონება, სილუეტი  
არც კი გაგონილა. თითქოს იღბლად დაჰყოლია ჩვენს  
ლიტერატურას, რუსთველიდამ დაწყებული, შესანიშ-  
ნავი მწერლებისა და ადამიანთა ვინაობის უცოდინა-  
რობა“-ო.

წარსული საუკუნის ოთხმოციან წლებში აყენებდა  
ამ კითხვას პატივცემული მწერალი და სწუხდა, რომ  
მას არ გააჩნდა არამც თუ მის მიერ აქვე დასახელე-  
ბული ლიტერატურული ჟანრების რაიმე მსგავსთაგა-  
განი, არამედ უბრალო ფაქტებისა და ზეპირგადმოცე-  
მათა სიღარიბესაც კი განიცდიდა სულ რაღაც ორმო-  
ციოდე წლის უკან გარდაცვლილ ისეთ დიდ ისტო-  
რიულ პირზე, რომლის შესახებ თვითონვე ასეთი პა-  
თოსით ლაპარაკობს: „მე ყოველთვის ბედნიერად ვთვლი  
ჩემს თავს, როდესაც ჩემი სამწერლო ეტიუდების საგ-  
ნად მომხვდება ისეთი პირი, როგორც თ. ალექსანდ-  
რე ქავჭავაძე არის“-ო.

ეს აზრი ზერეღედ როდია თქმული, ამისათვის ბი-  
ოგრაფი თავისებურ არგუმენტაციასაც მიმართავს და  
ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „საქართველოს სა-  
მეფოში ეშყაბაშად \*) ნამყოფი, რუსეთის იმპერიის ღე-

\*) ეშყაბაში, პატივც. მგოსან ი. გრიშაშვილის თქმით  
იკოვე ეშიკ-ალა-ბაში. ელჩების მეთაური, უფროსი.



ნერალ-მაიორი ალექსანდრე ჭავჭავაძე, ყველა ამ საუკუნის მწერლებზე უფრო საუკუნეთა შემადგენელი მწერალი და პოლიტიკური მოქმედი. მისი ცხოვრების აღწერა თითონ დაგანახვებით რაა უფრო საინტერესო ჭავჭავაძეში, მწერალი თუ უბრალო, კერძო პირი, თუ სახელგადოდ მოქმედი, მეინახე“-ო.

სამწუხაროდ, ეს დაპირება ბიოგრაფმა ნაწილობრივ მაინც ვერ გაამართლა. ვერ გაამართლა იმდენად, რაქდენად ამ შრომაში სისრულით ვერ არის მოცემული მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა მხარე აქ მხოლოდ სქემაა წარმოდგენილი იმ სქელტანიანი წიგნისა, რომლის ფურცლებზე უნდა გაშლილიყო ჩვენი სამშობლოს იმდროინდელი ვრცელი და ცვალებად ამინდიანი ჰორიზონტები, სადაც ცენტრალურ ფიგურად მოსჩანდა ჯერ ალექსანდრეს მამა — თვით შეუნარკიას სიტყვითვე რომ ვთქვათ — მეფე ერეკლეს მინისტრი, სანდო და თაკიანი კაცი — გარსევან ჭავჭავაძე, რომლის რუსეთში ყოფნის დროს, ყოველმხრივ სასაძიხდილი „მეფე გიორგი სიკვდილის სარეცილზე ეუბნებოდა ლაზარეს\*): „თუ ჭავჭავაძემ ჩამომისწრო, სიკვდილს არ ვინაღვლებო“ — და შემდგომ თვით ჩვენი პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე.

ვერ მიაღწია ბიოგრაფმა მიზანს რადგანაც, მასხელს არ უწყობდა შექმნილი გარემოება აბრკოლებდა არსებული ცენზურა და რაც მთავარია ის განსაკუთრებულ-

\* ) ლაზარევი, რუსეთის გენერალი. მოჰკლა მარიამ დედოფალმა, გიორგი მეფის ქვრივმა.



ღი პირობები, რომლებიც იყო შექმნილი მკვლევარი სათვის იმდროინდელ პოლიტიკურ გარემოცვაში.

პეტერბურგში დაბადებული, ეკატერანე დიდის ნათლული, დიდი რუსეთის იმპერატორის კარზე აღზრდილი, გენერალ-ლეიტენანტის ჩინამდე მიღწეული სამხედრო მოღვაწე, ადოევე 1832 წლის ცნობილი შუქმულების მონაწილე, რუსი ჩინოკნიკისა და ქართველი პატრიოტის, პოეტი ალ. ჭავჭავაძის ცხოვრების ყოველი დეტალის კვალდაკვალ დევნა (მით უმეტეს მისი გარდაცვალების 40 წლის შემდეგ) არც ისე ადვილი საქმე იყო.

გარდა ამისა, როგორც თვით ი. მეუნარგია აღნიშნავს, ჩვენში ასეთი კვლევის ტრადიცია თავიდანვე არ ყოფილ, ეს ყოფიდაფერი ჩვენი ლიტერატურული ცხოვრებისათვის უცხო ხილი იყო, რომლის გემო არვინ იცოდა და არც არვინ ისწრაფოდა მისკენ. საჭირო იყო საკითხის დაყენება, ტრადიციის შექმნა, პრაქტიკული საქმიანობით საფუძვლის ჩაყრა ასეთი მეცნიერული კვლევისათვისაც.

ი. მეუნარგია კმაყოფილდება ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ირგვლივ, საქართველოში არსებული და მისთვის მისაწვდომ მასალებით, ჭავჭავაძის თანამედროვეთა, მისი სიცოცხლის მომსწრე პირთა მოგონებებით და იწყებს ბიოგრაფიის შედგენასაც.

აი, დაიწერა კიდევაც რამდენიმე გვერდი შავი ფანქრით, თავისებური წვრილი ხელით, რომლის ამოკით-

ხვას ხანდახან გაჰადიდებელი შუშაც კი სჭირდება, გადაიკითხა, კვლავ შეასწორა და ის იყო უნდა განეგრძო ისევ, რომ უცბად შეჩერდა, რალაც აზრმა გაუელვა, უთუოდ ახალია ეს აზრი, ხელნაწერს ხახი გადაუსვა, წაშალა, საწერი მაგიდის ქვედა უჯრაში ჩააგდო. რამდენიმე დღით პაუზის შეზღვევ კვლავ მიუჯდა თავის საწერ მაგიდას, ისევ თავიდან დაიწყო. ბიოგრაფია თითქოს დააძთავრა, პოეტის ნაწერების გარჩევას მიჰყო ხელი, რამდენიმე დებულება ჩამოაყალიბა, ლექსებიდან კრიტიკებული სტრიქონებით შესაფერი დასკვნებიც გააკეთა და ამგვარად ვინ იცის ბოლომდე ჩავიდა თუ არა, სად დასვა წერტილი ან ეგებ თავი გაანება და ისევ ხელი ჩაიქნია?

ეს კია რომ ავტორი, როგორც ჩ-ნს, საბოლოო ჯამში არ დაკმაყოფილებულა ამ შრომით, იგი მას ალბად (ვამბობ მე) არ უცვნია დაბეჭდვის ღირსად, საკადრისად იმ კალმის ნამოღვაწარისა, რომელმაც შექმნა შემდეგში საუკეთესო მონოგრაფიები გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გ. და დ. ერისთავების, მამია გურიელის და სხვათა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

არ დაკმაყოფილებულა ნაშრომიდან მიღებული შთაბეჭდილებით და ალბად ეს არის მიხეხიცი, რომ დღემდე ეს ნაწარმოები საზოგადოებისათვისაც უცნობი დარჩა, სრულიად მიუკვლეველი, გუმან აუღებელი. იგი მხოლოდ მის, ჯერ გამოუქვეყნებელ ავტობიოგრაფიაში ჩამოთვლილ სხვა შრომებს შორის აქვს მოხსენებული.

მხოლოდ ამ ერთი წლის წინათ, როცა განვიზრახე მის (ი. მეუნარგიას) არქივიდან ამომეკრიფა ხელნაწერების ის ფურცლები, რომლებიც მონოგრაფიის „ცხოვრება და ღვაწლი თ. გრ. ორბელიანისა“-ს გაგრძელებას წარმოადგენდა. გზადაგზა განსხვავებული ფურცლებიც აღმოჩნდა. ხანგრძლივი და დაკვირვებული აღნუსხვის შემდეგ ეს უცნობი ფურცლებიც დაშორდა ერთმანეთს, და ერთის ნაცვლად სამი სხვადასხვა ნაწარმოები აღმოჩნდა ჩემს წინაშე: 1 გრიგოლ ორბელიანი (გაგრძელება 1905 წელს ცალკე წიგნად უკვე დაბეჭდილი მონოგრაფიისა), 2. ილია ჭავჭავაძე (ჩემს მიერ უკვე გამოქვეყნებული, იხ. ყურნ. „მნათობი“ № 5 — 6 1936 წ. გვ 230 — 250, ი. მეუნარგია „ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდამ“) და — „ალექსანდრე ჭავჭავაძე“ ორ ვარიანტში, როგორც აღვნიშნე, ორივე დაუსრულებული, ორივე შავად დაწერილი და მიტოვებული.

მიტოვებული, ვამბობ იმიტომ, რომ ბოლო აკლია, ბოლო, სადაც ირჩევა ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზია, მისი პოეზია, მისი შემოქმედება, მისი ენა და სტილი. აქ განზრახვა დიდია, შეანიშნავად დაწყებული და განვითარების მსვლელობა მიცემული, რომელიც უკუძღვებელი იყო არ დაემთავრებია ავტორს, მაგრამ ეს ბოლო ფურცლები დაფანტულან, არ ჩანან, არქივში მათი მსგავსი არაფერია. და რომ ეს დამთავრებული უნდა ყოფილიყო ამ-ს ადასტურებს ხელნაწერის უკანასკნელი გვერდის, უკანასკნელი ბოლო აბზაცის ამგვარი

სტრიქონები: „ერთი არაკია: ერთმა ხელმწიფემ და-  
იბარა ვარსკვლავთმრიცხველები და ბედი აკითხვანო.  
ერთმა ვარსკვლავთმრიცხველთაგანმა ხელმწიფეს მოახ-  
სენა: შეფეო თქვენ დიდად ბედნიერი“... და აქ წყდება  
(ჩვენ ეს აბზაცი ამ წიგნს სულ მოვაცილეთ) ეს უკა-  
ნასკნელი გვერდიც, რაც ცხადია, შემდეგ გვერდზე გა-  
დასვლის აუცილებლობას მოწმობს. მაგრამ ეს შემდე-  
გი გვერდიცა და არც იმის მომდევნო გვერდები არ  
ჩანან.

ყოველივე ამის მიუხედავად ნაწარმოები მეტად სა-  
ინტერესოა და საყურადღებო ცნობების შემცველი. მას  
ში ბევრია დღემდე სრულიად უცნობი ფაქტები. ისინი  
აწ. ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტო-  
რიისათვის საკმაო მნიშვნელობისანი არიან.

თუნდაც ის ფაქტი, რომ ქართულ ლიტერატურაში  
აღ. ჭავჭავაძის ვრცელი და მთლიანად შედგენილი ბი-  
ოგრაფია დღემდე არ არსებობდა. ეს შრომა როგორც  
ჩანს პირველი ცდაა ამ მხრივ.

ცდას, ვფიქრობ არც ჩაუვლია უნაყოფოდ, თუმცა  
იმ მოთხოვნილებებს, რასაც ი. მეუნარგია უყენებდა ბი-  
ოგრაფს იგი ოდნავად ვერ აკმაყოფილებს, რადგან  
„ჩვენში (სჯობს ისევ მეუნარგია ვალაპარაკოთ) კრი-  
ტიკა და ბიოგრაფია, რაღაც გვარის სალიტერატურო  
ზრდალობის ბრძანებით, შინაური ცხოვრების აღწე-  
რაში ერთობ ხელმოჭერილი არის, „ჩემს ოთახში  
ვის რა ეკითხვის რა ხდება“. — აი საფუძველი ამგვა-  
რის დარბაისლურის საქციელისა, რომლითაც ჩვენ თავი

მოგვაქვს და ვგძობთ განუსჯელთა და ენა ქართალა  
ევროპის მწერალთა, რომელნიც იმასაც კი იტყობინე-  
ბიან — რა ჰქვიან სახელად სარრა ბერნარის \*) გოგოს  
(ფელისი), ან რა ერქვათ იმ ცხენებს, რომელთაც მი-  
ქონდათ საფლავზე ვიქტორ ჰიუგოს \*\*) ცხედარი (ფან-  
ფარი და ფლორელა). ჩვენ უნდა ვუდალატოთ ამ ში-  
ნაურს დარბაისლურ ზნეს და მოვიყვანოთ აქ სულ ყვე-  
ლაფერი, რაც კი ჩვენ გაგვიგონია. საყვარელი  
კაცი ისა ჩვენ სულ ყველაფერი უნდა ვი-  
ცოდეთ (ხაზი ჩემია, ს. ც.) — აი საფუძველი ამგვა-  
რის უსაზღვრო ცნობისმოყვარეობისა“ \*\*\*).

აი, ეს შინაურობა და „საყვარელი კაცი ისა ჩვენ სულ  
ყველაფერი უნდა ვიცოდეთ“, აკლია ალექსანდრე ჭავ-  
ჭავაძის ამ ბიოგრაფიას. მის (მეუნარგიას) „სამახსოვ-  
რო წიგნში“ არა ჩაწერილა რა ალექსანდრეს სიცოცხ-  
ლიდან, როგორც ილიას შესახებ დაწერილ მოგონე-  
ბაში ამბობს იგი „როცა მე მიყვავი ხელი ორბელია-  
ნის, ბარათაშვილის, გიორგი ერისთავის და სხვათა  
ცხოვრების აღწერას, მე ყოველს შეყრაზე ილიას ვუ-  
ყურებდი და ვუსმენდი, როგორც მსხვერპლს „მუშტრის  
თვალით“ და როცა იმისგან მოვდიოდი შინ, მის ნა-  
ლაპარაკევს ვწერდი ჩემს სამახსოვრო წიგნში“-ო.

\*) საფრანგეთის გამოჩენილი მსახიობი.

\*\*\*) საფრანგეთის უდიდესი მწერალი 1802 — 1883 წ.

\*\*\*)) იხ. ი. მეუნარგია „ცხოვრება და ღვაწლი თ.  
გრ. ორბელიანისა“. გვ. 145.

ამ „სამახსოვრო წიგნში“ მას 40 წლის წინათ (ეკუ-  
ლისხმობ ამ შრომის დაწერის დროს) გარდაცვლილ  
ალექსანდრე ჭავჭავაძისათვისაც გამოუყვია ერთი კუთ-  
ხე: ცხადია, ის „მუშტრის თვალით“ უყურებდა ამ შემთ-  
ხვევაში არა ალექსანდრეს, არამედ მის მომსრწე პირთ  
თუ ვისმე ასეთს გაიცნობდა, მაგრამ მათი მეოხებით  
ეს კუთხე სხვა შემთხვევაში ჩვეულ, საზრიანი, მოხდენ-  
ილი და ისტორიულ მნიშვნელობის მქონე ფაქტებზე  
აღწერებით ვერ გამდიდრებულა. იქ სულ რამდენიმე  
მნიშვნელოვანი მინაწერია, რომელთაც წიგნის ბოლო-  
ში ფურთავთ და რომლებიც აშკარად მოწმობენ თუ  
რამდენი დაკვირვება და ხანგრძლივი მუშაობა უწარ-  
მოებია პატივცემულ მკვლევარს, ასეთი, მოცულობით  
ერთობ პატარა შრომისათვის.

ბიოგრაფი რომ დიდ ისტორიულ პირად თვლიდა  
ალექსანდრე ჭავჭავაძეს, ეს მისი შემდეგი სიტყვებიდა-  
ნაც ჩანს: „ვილაც ენა-მახვილმა, ფრანცუზების მწე-  
რალმა თქვა: როდესაც დანტონი\*) ტანთ გაიხდიდა  
რევოლუციის მიწველი იყო. ალექსანდრე ჭავჭავაძის  
ცხოვრების აღწერა, მის დროს, თუ შიშვლად არა, ში-  
ნაურულად მაინც არის, დაგვანახებს“-ო.

საინტერესოა, რომ ბიოგრაფის აზრით ალექსან-  
დრე ჭავჭავაძე 1832 წლის ცნობილი შეთქმულების მო-  
ნაწილე არ ყოფილა. „ალექსანდრე ჭავჭავაძე არც ხნით  
და არც ჰაზრით არ იყო იმათი (შეთქმულთა, ს. ც.)

\*) ჟორჟ-ჟაკ დანტონი (1759—1794)—საფრანგეთის  
რევოლუციის დიდი ფიგურა.



თანამთავრო“, თუმცა, როგორც შეთქმულების მასალე-  
ბიდან გამოიჩნდა, ყოველი შეთქმულთაგანი ცდილობ-  
და ალექსანდრე ჭავჭავაძე შეთქმულებაში გაეხვია და  
ცენტრალურ ფიგურადაც გამოეყვანა, — ხოლო ი. მე-  
უნარგიას აზრით, „საქმედან აღმოჩნდა, რომ ისინი  
ხშირად დადიოდნენ ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, იმათ  
ეჭვი აიღეს ჩვენს პოეტზე. ერთის მათგანის (იმის სა-  
ხელის ჩვენება არ გვინდა, რადგანაც ის ჯერ კიდევ  
ცოცხალია) ჩვენებამ სულ დარწმუნა ბ. როზენი\*),  
რომ ალექსანდრე რუსეთის წინააღმდეგი იყო“-ვო.

არ გამოუდგებოთ იმის მტკიცებას, თუ რამდენად  
მართალია ამ შემთხვევაში პატივცემული მკვლევარი,  
მაგრამ ისიც კი აღსანიშნავია, რომ იმ დროს, როცა  
ეს ბიოგრაფია იწერებოდა ალექსანდრე ჭავჭავაძის  
ავტორიტეტის აღსადგენად ამგვარი დახასიათება აუცი-  
ლებელიც იყო.

ჩვენთვის უფრო საინტერესოა ის პირი, ვინც ჯერ კი-  
დეც ცოცხალი იყო ამ წიგნის დაწერის დროს და ვის  
ხსენებასაც ის ერიდება. ამისათვის პირველყოვლისა  
უნდა გაირკვეს თუ როდის დაიწერა ეს ნარკვევი. ხელ-  
ნაწერი უთარილოა, მაგრამ მისი ვარიანტის ის ადგილი,  
სადაც ლაპარაკია: კიდევ ათი წელი და საუკუნეც შე-  
სრულდება მას აქეთ, რაც საქართველო შეუერთდა  
რუსეთს“-ო, ააშკარავებს ბიოგრაფიის დაწერის თა-  
რილს. ასე რომ ხელნაწერი დაწერილი უნდა იყოს  
1888—90-იან წლებში.

\*) მაშინდელი მთავარმმართველი კავკასიისა.



ვინ იყო ამ წლებში ცოცხალი, შეთქმულთაგანი, რომელმაც უჩვენა ალექსანდრე ჭავჭავაძის შეთქმულებაში მონაწილეობაზე? ეს კითხვა არც ისე ადვილი გადასატოვებელია, ვინაიდან, როგორც შეთქმულების მასალებიდან ჩანს: „არც ერთ შეთქმულს არ უნდოდა მონაწილეობის მიღება გენერალ ჭავჭავაძის გარეშე“ და ყოველი მათგანი ცდილობდა შეთქმულებაში ჭავჭავაძის გახვევას; უფრო მეტიც, აჯანყების წარმატებით დასრულების შემდეგ გიორგი ერისთავის შიერ შედგენილი პროექტის მიხედვით საქართველოს მართკულობა ამგვარად იყო გათვალისწინებული: „ორი სამთავრობო (სამპარტოველო) ადგილი იყო: ზედა და ქვედა. ზედაში იყვნენ პირველი პირი თვით მეფე, რომელსაც ალექსანდრე ბატონიშვილს გულისხმობდნენ, მეორე — სამხედრო მინისტრი, ჭავჭავაძე“...\*) და ა. შ. მაშასადამე განთავისუფლებულ საქართველოში ალ. ჭავჭავაძე მეორე კაცი უნდა ყოფილიყო, ან უკეთ რომ ვთქვათ მე მის შემდეგ პირველი კაცი.

აქ ჩვენ ცოტა გზას გადაუხვიეთ. საჭიროა ისევ დაუბრუნდეთ საკითხს — ვინ უნდა იყოს ის პირი, რომლის სახელის ხსენებას მეუნარგია ერიდება რა კი იგი ცოცხალია 90-იან წლებში? ჩვენ რატომღაც, ეს პირი პოეტი ვახტანგ ორბელიანი გვკონია, რასაც გვაფიქრებინებს პირველყოვლისა მის მიერ მიცემული ჩვენებანი (იხ. ი. გოხალიშვილი „1832 წლის შეთქმულება“,

\*) იხ. ი. გოხალიშვილი, „1832 წლ. შეთქმულება“, ტ. I. გვ. 92

ვახტანგ ორბელიანის ჩვენებანი). მეორედ, ვახტანგი ცოცხალი იყო 90-იან წლებში (გარდაიცვალა 1890 წლის 29 ნოემბერს), ი. მეუნარგია პირადად დიდი თაყვანისმცემელი იყო ვახტანგ ორბელიანისა, როგორც პოეტისა და საზოგადო მოღვაწის და მასთან, მათ შორის მეგობრულ ურთიერთობასაც ქონია ადგილი, რის ნაყოფიც არის ვახტანგ ორბელიანის ლექსი „ნანგრევთა შორის ლამპარი“ მიძღვნილი იონა მეუნარგიასადმი, რომლის უკანასკნელი სტრიქონებია:

და აწ მადლი შენ, გსურს გააცნო იგი  
ევროპას,

განათლებლისა, სწავლის დიდერს და  
დიდს ქვეყანას“ \*).

და მეოთხედ, ღრვა მოხუცებაში მყოფ მეგობარ პოეტის წყენას ცხადია, ვრიდებოდა ბუნებით პოეტების დიდი თაყვანისმცემელი და დარბაისლური ზრდილობის მქონე ი. მეუნარგია.

დასასრულ, ნარკვევის ტექსტის აღსადგენად საკმაოდ ხანგრძლივი მუშაობა დაგვჭირდა, რადგან იგი, გარდა იმისა, რომ ფურცლებად იყო დაშლილი და გაფანტული არქივის სხვადასხვა ნაწილში, ნაფლეთებად ქცეულ, ფანქრით ნაწერ ფარატინებს წარმოადგენს, ნაწერიც ზოგან ისე მკრთალია და გადაშლილი, რომ მისი ამოკითხვაც ძლიერ გაჭირდა, უმთავრესად მეო-

---

\* ) იგულისხმება „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა ი. მეუნარგის მიერ ვახტანგულად.

რე, პატარა ვარიანტისა, რომელიც თავდაპირველად დაწყებულ ვარიანტად მიგვაჩნია. მკითხველის წინაშე ორივეს ვადგენთ.

არსებობს ი. მეუნარგიას მიერ დაწერილი ალექსანდრე ჭავჭავაძის ბიოგრაფიის რუსული ვარიანტიც უფრო დასრულებული სახით, წინამდებარე ხელნაწერის მასალებზე დამყარებული, მაგრამ მოკლედ, შეკუმშულად, გახეთის ფელეტონად დაზუსტებული, რომელიც ამჟამად მგოსან ი. გრიშაშვილის არქივში ინახება. პატივცემულმა მგოსანმა და მკვლევარმა პირადად გამაცნო დასახელებული რუსული ვარიანტი, რომელიც ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს იონა მეუნარგიას ინტერესს ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლისადმი.

მეტი რომ არ გავაგრძელოთ, ისიც კი სათქმელია, რომ ბიოგრაფიის ტექსტში მოხსენებულ პირთა შესახებ საჭირო განმარტებას ავტორი არ იძლევა, ჩვენ კი ვცდილობთ იქვე სქოლიოში მოვაქციოთ ასეთი განმარტებანი, მაგრამ მხოლოდ საჭიროების ფარგლებში, თუ კი ეს აუცილებელია, თუ კი ხსენებული პირი არც ისე დიდად ცნობილია ჩვენს ისტორიაში.

ბიოგრაფიის ტექსტში რაც შეიძლება ვიცავთ ავტორის სტილსა და მართლწერას, ვიცავთ, რამდენადაც ჩვენ მისი წერის მანერასა და წინადადებათა კონსტრუქციას ვართ გაცნობილი, ამ მხრით მის სხვა შრომებისაგან, წინამდებარე შრომის საფუძველად განიჩევა და იმიტომ, რომ იგი უფრო მეტად



უნარგიას მუშაობის ერთერთი ხასიათია, მისი ნაწერის შესწორება და ხელახლა გადაწერა, გადათეთრება, რასაც ამ შემთხვევაში მოკლებული ვართ.

დასასრულ, მადლობას მოვახსენებთ სამეგრელოს მუზეუმის მეცნიერ მუშაკს, ქართული კულტურის პატრიოტს და ჩემს მეგობარს ამხ. აკაკი ჭანტურიას, რომელმაც შესაძლებლობის ფარგლებში არ მომაკლო, ხელისშეწყობა, სისწორით აღმედგინა ამ პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი წიგნის ეს დღემდის უცნობი ხელნაწერი.

**სოლომონ ცაიშვილი**

1936 წ. სექტემბრის 30.

თბილისი.

## ალექსანდრე ჭავჭავაძე

ცხოვრების აღწერა ჯერ არ შედგენილა ჩვენში. სურათები, ლიტერატურული მოგონება, სილუეტი არც კი გაგონილა. თითქო იღბლად დაჰყოლია ჩვენს ლიტერატურას, რუსთველიდამ დაწყებული, შესანიშნავი მწერლებისა და ადაშიანთა ვინაობის უცოდინარობა.

ეს ნაკლულეგანება ქართულის მწერლობისა უნდა გასწორდეს იმ პირებზე მაინც, რომელთაც ამ საუკუნეში გადმოუბიჯებიათ ფეხი, ან ამ საუკუნესთან ერთად დაბადებულან და ოთხმოცი წლის საღმობა თავიანთი მაგარი ზურგით უტარებიათ, ან კიდევ ამ საუკუნეში დაბადებულან, ამავე საუკუნეში უცხოვრიან და

უმოღვაწნიათ და უდროოდ დაჰკარგვიათ ჩვენს ქვეყანას.

ალექსანდრე ჭავჭავაძე ერთი ის შესანიშნავი კაცი იყო, რომლის ხსოვნა ჩვენს მწერლობას ესაჭიროება, მწერლობას მარტო კი არა, ცოტა ჩვენს თანამედროვე ისტორიასაც. მისი ხანგრძლივი სიცოცხლე ნიმუშია, რომლითაც შეიძლება ჩვენს შემდეგ მომავალ თაობათა წარმოიდგინონ თუ რაც იყო მისი დროება.

შორდება ჩვენი ქვეყანა ამ დროებას, რაც უფრო აწყდება იმას ძაფები, რომლითაც მილანდულია ის ამ დროსთან, მით უფრო და უფრო საინტერესო იქნება ჩვენთვის, ხალხისთვის ეს დრო, როდესაც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებელი მდგომარეობა გათავდა, ჩვენს პოლიტიკურს ნანგრევებზე ჯერ საფუძველი დაედო და შემდეგ გაშენდა ის ახალი პოლიტიკური წესი, რომლის ქვეშა ვართ ეხლა ჩვენ.

ამ წყობილებასთან შეგვრჩება ჩვენ, ჩვენი ნაციონალური სახე, ენა, ზნე, ჩვეულება თუ არა, ეს ჩვენს საკუთარს მეცადინეობაზეა და-



მოკიდებული, მაგრამ შეგვრჩება თუ არა ეს სახე, გაქრება თუ არა ჩვენი ეროვნება, რომელსაც ესოდენ ძლიერი სახელმწიფო არ ჰყოლია ჯერ პატრონად, ყოველ შემთხვევაში, ის დრო, როდესაც სცხოვრობდა ალ. ჭავჭავაძე, ე. ი. უკანასკნელი წლები ირაკლის მეფობისა, რუსეთის შემოსვლა საქართველოში და მათის უფლების დამყარება მეტისმეტად ღირსშესანიშნავია, ან როგორც უკანასკნელი თავი იმ ათასფურცლოვან წიგნისა, რომელშიაც ჩაწერილია უკუნითი-უკუნისამდე ჩვენი ხალხის ისტორია, ან როგორც პირველი თავი მეორე წიგნისა, რომელშიაც უნდა ჩაიწეროს ჩვენი ხალხის განახლებული ცხოვრება.

ვილაც ენამახვილმა, ფრანცუზების მწერალმა თქვა: „როდესაც დანტონი ტანთ გაიხდიდა რევოლუცია შიშველი იყო. ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრების აღწერა, მის დროს, თუ შიშვლად არა, შინაურულად მაინც დაგვანახებს.

\* \* \*

ალექსანდრე ჭავჭავაძე დაიბადა პეტერბურგს 1786 წელს, იშვიათს ვისმე ქართველ-



თავანს ჰქონია ისეთი ბედნიერი ჩამომავლობა და აღზრდა, როგორც ჰქონდა ა. ჭავჭავაძეს. მამა მისი, გარსევანი, იყო საქართველოს ელჩად რუსეთში. მან მოაწერა ხელი 1783 წელს (24 ივლისს) გეორგიევსკის ტრაქტატს, რომლითაც დაიწყო საქართველოში რუსეთის მფარველობა; შემდეგში, 1797-ს პავლე I-ის ტახტზე ასვლის დროს, ის ხელახლა გაიგზავნა რუსეთში მეფე ერეკლესაგან და ტახტზე ასვლის მილოცვის შემდეგ გეორგიევსკის ტრაქტატის დამტკიცება და საქართველოს მემკვიდრედ გიორგის დანიშვნა ითხოვა; დასასრულ 1798 წელს გარსევან ჭავჭავაძე უკანასკნელად გაიგზავნა მეფე გიორგისაგან პეტერბურგს და უკანასკნელად ითხოვა რუსეთის მფარველობა.

ამ მოგზაურობის დროს მისი პოლიტიკური მისია განხორციელდა. „18 დეკ. 1800 წელს პავლე პირველმა ხელი მოაწერა საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტს“.

სხვა ბიოგრაფიული ცნობა რომ არა იყოს რა გარსევან ჭავჭავაძის შესახებ, მარტო ეს

ისტორიული ფაქტიც საკმაოა, რომ წარმოვიდგინოთ თუ რაგვარ სუეროში იზრდებოდა ჩვენი პოეტი.

სხვა ცნობებიც მოწმობენ, რომ გარსევან ჭავჭავაძე იყო მწიგნობარი, მას ჰქონდა ყოველგვარი მისი დროების განათლება, იცოდა რუსული ენა და სასახლეში უპირველესი ადგილი ეჭირა. ამასთან ამავე ცნობებით, საქართველოს თავადაზნაურობაში გარსევანი იყო ყოველთაგან პატივცემული და პეტერბურგში გადასახლებულ ქართველობასთან დიდი განწყობილება ჰქონდა, ამიტომაც იყო, რომ ირაკლიმ ის პირველ ელჩად აირჩია ისეთს მძიმე საქმეში, როგორიც იყო ერთი სამეფოს მეორე სამეფოსთვის დამორჩილება.

დედა ალექსანდრესი იყო მარიამ ივანეს ასული ავალოვისა. მისი დროის კვალობაზე ესეც განათლებული ქალი იყო „ვეფხის-ტყაოსანზე“ და ჩვენს ძველებურს წესზე აღზრდილი.

\*  
\*

რუსეთის კარი ამ დროს ეძებდა კარგს განწყობილებას საქართველოსთან. დიდმა იმპე-

რატრიცამ ეკატერინე II-მ ისურვა საქართველოს ელჩის შვილის მონათვლა, გარსევანი ვერც კი ინატრებდა უკეთესს პატივს და ჩვენი პოეტი მონათლეს ეკატერინე II-მ და დიდმა მთავარმა ალექსანდრემ, შემდეგში იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა.

მაყვლისფერი ხავერდის ბალიში, რომელზედაც ამოიყვანა წმიდა ემბაზიდამ ნათლია იმპერატრიცამ ალექსანდრე ჭავჭავაძე, დღესაც ინახება მის შვილის შვილებში. უკანასკნელად ამ ბალიშზე მონათლა განსვენებულმა იმპერატორმა, ალექსანდრე II-მ სამეგრელოს თავადის შვილები, რომელნიც ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილის შვილის შვილები არიან\*).

ამგვარმა დიდებულმა ნათლიებმა კიდევ უფრო გააუმჯობესეს ის პირობა, რომელშიაც გაიზარდა პოეტი.

როცა ოთხის წლის შეიქნა ალექსანდრე,

---

\*) ე. ი. ეკატერინეს შვილის ნაკოს (დიდი ნიკოდ წოდებული) შვილები: პატარა ნიკო და მათა (შემდეგ ობოლენსკიზე გათხოვილი).

გარსევანი დაბრუნდა სახლობით თბილისს. რადგანაც თბილისში იმ დროს სასწავლებელი არ იყო, მამამ თან წამოიყვანა ბავშვის ლალად ერთი ფრანცუზი, რომელიც დიდხანს იყო ალექსანდრეს ოსტატად. აქ დაისწავლა ალექსანდრემ ფრანგული, ნემეცური, რუსული, სპარსული და ქართული. მეტადრე ქართული, რომელიც იმან ასე ზედმიწევნით იცოდა.

საქართველოში ამ დროს არეულობა იყო. ირაკლის მხნეობა მოსტყდა, მტრები აიშალნენ და შიგ ქართველ თავადიშვილებში და ბატონიშვილებში დიდი უთანხმოება და განხეთქილება ატყდა. სულ ყველაფერი მიილტვოდა საქართველოს დაცემისაკენ, მეხუთე მოქმედება თავდებოდა და უკანასკნელი ფინალის არეულად გალობაც იწყებოდა.

ამგვარ დროებაში, რასაკვირველია, შვილის აღზრდისათვის არავის სცალოდა საქართველოში. მხოლოდ ბედისგან განებივრებული ალექსანდრე თავის ფრანცუზის მეცნიერებას ისმენდა და თავისუფალ დროს დასეირნობდა პირველად მამა მისისაგან ჩვენში გადმოტანილ „ქარეჭით“.

სამწუხაროდ სხვა არა ვიციოთ რა მისის სი-  
ყმაწვილიდამ. თუმცა უმნიშვნელოა, მაგრამ,  
რადგანაც ჩვენამდის მოულწევია, მოვიყვანო  
აქ ერთი ეპიზოდს იმის სიყმაწვილიდამ. ამბო-  
ბენ, რომ ერთს რაღაც დღეობაში, საცა მე-  
ფეც ბრძანდებოდა, ალექსანდრეს ბეჭედი დაჰ-  
კარგვია მინდორში, რომელიც ბევრი უძებ-  
ნიათ თურმე, მაგრამ ვერ უპოვნიათ. მეორე  
წელს იმავე დღეობაში და იმავე შეკრებილე-  
ბაში, ყმაწვილი ალექსანდრე მინდორზე მჯდო-  
მარე ათამაშებდა წკეპელას და უეცრივ ამ  
წკეპელზე წამოეცო თურმე ეს ბეჭედი.

ვიმეორებთ, არა ვიციოთ რა იმის სიყმაწვი-  
ლიდამ, მაგრამ ის კი შეგვიძლია დარწმუნე-  
ბით ვთქვათ, რომ საქართველოში ყოფნას  
უსარგებლოდ არ ჩაუვლია მისთვის, შემდეგში  
„გოგჩის ტბის“ ავტორის მაღალ მგრძნობია-  
რე და ღრმა შთაბეჭდილების სული ტყუილად  
არ ხედავდა საქართველოს სამეფოს სულთა-  
ბრძოლას, რომ სამშობლოს მწუხარებას არ  
დაეტოვებია მის ნორჩ გულში სამუდამო კვა-  
ლი...

არ ვიცით რამდენ ხანს დარჩა ალექსანდრე საქართველოში. უეჭველია გარსევანმა თან წაიყვანა ის პეტერბურგში, როცა მეფე ერეკლემ ხელმეორედ გაგზავნა ის რუსეთში პავლე I-ლის ტახტზე ასვლის დროს.

არ ვიცით აგრეთვე როდის შევიდა ალექსანდრე პაეების კორპუსში და როდის გაათავა იქ სწავლა\*), ვიცით მხოლოდ რომ ამ სასწავლებელში ის სწავლობდა ადლერბერგთან\*\*), რომელთანაც ის ძლიერ იყო დაახლოებული

---

\*) თვით ჭავჭავაძე თავის ჩვენებაში (იხ. გოზალი-შვილის „1832 წლის შეთქმულება“ ალექსანდრე ჭავჭავაძის ჩვენებანი) ამბობს, რომ იგი პაეების კორპუსში 1805 წელს შესულა, 1811 წელს დაუნიშნავთ გენერალ-ლეიტენანტ მარკიზ პაულიჩის ადიუტანტად, — მაშასადამე უნდა ვიკულისხმოდ, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძეს პაეების კორპუსში უსწავლია 1805-დან 1810—1811 წლებამდე.

ს. ც.

\*\*\*) ალექსანდრე II-ის დროს სასახლის მინისტრი, რომლის ფერადებით შესრულებული მხატვრული დიდი სურათი აქვამაღ ინახება სამეგრელოა მუზეუმში.

ს. ც.

და სწავლა გაათავა დიდის წარმატებით. სწავ-  
ლის დასრულების შემდეგ განწესდა პაყად სა-  
სახლეში.

ამ დროებში საქართველოში ყველაფერი  
გათავდა: თბილისი დაიწვა, ირაკლი მოკვდა,  
გიორგი მოკვდა, მეფის სახლობა რუსეთში  
გაიგზავნა, საქართველოში რუსეთის მთავრო-  
ბა დაწესდა და სხვ. ალექსანდრე შორიდან  
ისმენდა მამულის თავგადასავალს. პეტერბურგ-  
ში მას ისეთი ადგილი ეჭირა, რომ საქართვე-  
ლოს ყოველგვარ ამბავს ან სასახლის მოხსენე-  
ბაში კითხულობდა, ან პეტერბურგში გადა-  
სახლებულ ქართველ ოჯახებში შეიტყობდა  
ხოლბე.

როცა ალექსანდრე 26 წლისა შეიქნა, ცო-  
ლად შეირთო სარდლის, ივანე ჯამბა-  
კურ-ორბელიანის ქალი სალომე. ეს  
იყო 1812 წელს, როცა რუსეთს მოედო ნა-  
პოლეონ პირველის ცეცხლი. უეჭვე-  
ლია, ალექსანდრე არ რეულა ნაპოლეონის წი-  
ნააღმდეგ ბრძოლაში, რადგანაც იმუამად იმას  
ვხედავთ საქართველოში, კახეთის აჯანყების  
დასამშვიდებლად გაგზავნილს.



თბილისიდან მოშორებულ, კახეთში ბატონიშვილებმა (ალექსანდრე ბატონიშვილი \*) განზრახეს, ამ დროს რუსეთის ქვეშევრდომობიდან განდგომა და ააჯანყეს კახელები. მთავრობამ ამათი დამშვიდება მიანდო ალექსანდრე ჭავჭავაძეს. ალექსანდრემ ჯერ მოინდომა კახეთის დამშვიდება ტკბილის ქართულით, მაგრამ, რომ ვერა გააწყო რა, საქმე ძალაზე და სროლაზე მიდგა.

რასაკვირველია, ამ შებმაში მთავრობის მხარემ გაიმარჯვა. ალექსანდრე სწუხდა, რომ საკუთარ ძმებთან უნდა ეომა, მაგრამ მოვალეობისა და სამხედრო დისციპლინის მონაწილის შეება კახელებს და ცდილობდა საქმე ისე მაინც გაეთავებია, რომ ბევრი უბედურება არ მომხდარიყო.

ბევრი უბედურება, მართლა არ მომხდარა, მაგრამ თითონ პოეტი ლამის იმსხვერპლა ამ აჯანყებამ. ერთმა გლეხკაცმა ის დასჭრა ფეხში.

---

\*) ალექსანდრე ბატონიშვილს მეუნარგია საქართველოს მიტრიდატს უწოდებს.

ამ კრილობას ძლიერ ცუდი შედეგი ექნებოდა პოეტისათვის, რომ დროზე არ მიშველებოდათ ქუთათური თურმანიძეები\*);

\*) მაშინდელი განთქმული ეჭიშვარი ქუთაისში და მთელ დასავლეთ საქართველოში, თურმანიძეთა პოპულარობა იმდენად ფართო ყოფილა მაშინ, რომ ურიგო არ იქნება ორიოდვე ცნობა მოგაწოდოთ ამ შინაურ ჯანაოხთ, მაგრამ მაინც მაშინდელი დროის „მედიცინის დოქტორების“ შესახებაც, ცნობა მეტად დამახასიათებელი და მოსწრებული: საჰეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის სახლთუხუცესი და შემდგომსაჯულთუხუცესი როსტომ ჩიქოვანი სამეგრელოში „როსთო ქულად“ (კოჭლი როსტომ) წოდებული მეტად ენა-მანვილი კაცი ყოფილა. აქამად ხელთა მაქვს მის მოსწრებულ სიტყვათა პატარა კრებული, საცა ერთი ასეთი ენა-მანვილობაც არის: „როსტომმა ცოლი შეირთო, თავადის მიქელაძის ქალი. დიდი ქორწილი გადაიხადა. ქორწილში დაესწრო სამეგრელოს მთავარი დაჯითი — ალექსანდრე ჭავჭავაძის სიძე — და სხვა წარჩინებულნი, როგორც სამეგრელოდან, ისე გარეშე ქვეყნებიდანაც. მეორე დილას როსტომს შეხვდა დიდი ნიკო დადიანის „სიმონა გლახა“. სიმონამ ჰკითხა: როსტომ კიდევ კოჭლობო? შე, სულელო, თურმანიძე კი არ შემირთავს, ნიქელაძის ქალი შევირთეო — უნრა როსტომმა“. ე. ი. ეჭიმი კი არ მიმეყვანია კოჭლობიდან მოვერჩინეო.

ს. ც.

რომელნიც იმ დროშიაც თურმე შესანიშნავი ექიმები იყვნენ.

ამ კრილობიდან რომ მორჩა ალექსანდრე, წავიდა რუსეთს და გაყვა იმ ჯარს, რომელიც გაედევნა ვარსკვლავ-მიხდრის ნაპოლეონ I-ს და 1814 წელს შევიდა პარიუს ძღვეამოსილ კოალიციის ჯართან.

საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ალექსანდრე ისევ საქართველოში ჩამოვიდა და განაგრძობდა სამხედრო სამსახურს. იმის ცხოვრებაში დიდხანს ისეთი არა მომხდარა რა, რომ მის ცხოვრების აღწერაში ჩასაწერი იყოს.

ხუთმეტი წლის შემდეგ საფრანგეთის ომის გათავებისა, რუსეთსა და ოსმალეთს შორის ასტყდა ომი. ალექსანდრემ ამ ომშიაც მიიღო მონაწილეობა; ის იყო მცირეაზიის ჯარში და აიღო ბაიაზეთი.

მაგრამ ბაიაზეთის მამაცს, ეკატერინეს და ალექსანდრე პირველის ნათლულს, კახეთის დამამშვიდებელს ოთხი წლის შემდეგ და სახელდობრ 1833 წ. ეწია ისეთი განსაცდელი, რომელმაც საშინელი გავლენა იქონია მთელს მის

არსებაზე. მას შესწამეს პოლიტიკური ორგუ-  
ლობა, დაიჭირეს, ციხეში ჩასვეს და შემდეგ  
4 წლით ვორონეჟში გაგზავნეს.

ჩვენ ცოტა დაწვრილებით მოვიყვანთ ამ  
ეპიზოდს ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრებიდან.

ამ დროს პირველად შეკრბა თბილისს რუ-  
სეთში სწავლა-დასრულებული ყმაწვილ-კაცო-  
ბა: ო რ ბ ე ლ ი ა ნ ე ბ ი, ე რ ი ს თ ა ვ ე ბ ი,  
ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ბ ი, ყ ი ფ ი ა ნ ე ბ ი. საქართვე-  
ლოს დამოუკიდებელი მდგომარეობა ისე ახლო  
იყო იმათგან, მისს წარსულში იმდენჯერ სმე-  
ნიათ იმათ სამშობლოს დამონება და განთა-  
ვისუფლება, მაშინდელი რუსის ჩინოვნიკების  
მმართველობა ისე გაუხარებელი იყო ქართვე-  
ლობისათვის, რომ ამ ყმაწვილების უმწიკვლო  
გულში დაიბადა ადვილად გასაგები გრძნობა  
სამშობლოს განთავისუფლებისა.

ხუთმეტოდე ყმაწვილ-კაცებმა განიზრახეს  
მოეკლათ საქართველოს მთავარმმართველი  
და ყველა ცალკე ნაწილების მოთავე რუსები,  
ჩაეგდოთ ხელში არსენალი, ხაზინა, მეტეხი და  
ბოლოს საქართველო თავისუფალ სახელმწი-

ფოდ გამოეცხადებინათ. ისინი იკრიბებოდნენ ხან განსვენებულ დიმიტრი ორბელიანთან\*), ხან პუპლიასთან\*\*). ამბობენ, რომ იმათი განზრახვა არ გაეგოთ, დაკეტდნენ ოთახს, დააქრობდნენ სანთელს და შიგ ოთახში მოჰყვებოდნენ ჩურჩულს.

ალექსანდრე ჭავჭავაძე არც ხნით და არც აზრით არ იყო იმათი თანამოაზრე, თუმცა ყველა ეს ყმაწვილ-კაცობა იკრიბებოდა მის უპირველეს თბილისის სალონში, მაგრამ ვერავინ მათგანი ვერ ჰბედავდა კრინტი ამოეღო მათ პოლიტიკურ პროექტზე.

ამ ყმაწვილების განზრახვა შეიტყო თბილისის გუბერნატორის ძმამ ფალავანდიშვილმა\*)... ფალავანდოვმა ეს საიდუმლო შეატყობინა გუ-

---

\*) დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანი გარდაიცვალა 1882 წ. იხ. ი. მეუნარკია, „ცხოვრება და ღვაწლი თ. გო. ორბელიანისა“, გვ. 114 — 115.

\*\*\*) პუპლიას ალექსანდრე ორბელიანს ეძახდნენ.

ს. ც

\*) იასე ფალავანდიშვილი, შეთქმულების მონაწილე, მისი ძმა ნიკოლოზი იყო — თბილისის გუბერნატორი.

ს. ც.

ბერნატორს და გუბერნატორმა იმ დროის მთავარმმართველს, როზენს\*). როზენმა ზარები დარეკა. იმას წარმოუდგა, რომ ეს არის გაწყდა რუსები კავკასიაში და ერძას ღამეს ყველა ეს ყმაწვილ-კაცები დაიჭირეს. რუსების სიყვარულის გარდა მის განკარგულებას ცოტა დამსახურების ბეჭედიც აჩნდა. აქაო და საქართველო მეორეჯერ მოვაგებინე რუსებსო.

როცა ამ ყმაწვილკაცებს ჩამოართვეს ჩვენება და საქმიდამ აღმოჩნდა, რომ ისენი ხშირად დადიოდნენ ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, იმათ ეჭვი აიღეს ჩვენს პოეტზე. ერთის მათგანის (იმის სახელის ჩვენება არ გვინდა, რადგანაც ის ჯერ კიდევ ცოცხალია\*\*), ჩვენებამ სულ დაარწმუნა მთავარმმართველი ბარონი, რომ ალექსანდრეც რუსეთის წინააღმდეგი იყო.

---

\*) ცნობილი ბარონ როზენი, კავკასიის მთავარმართველი (ნამესტნიკი).

ს. ც.

\*\*\*) ამის შესახებ იხ. წინასიტყვაობაში — ვახტანგ ორბელიანი უნდა იყოს.

ს. ც.

ამ უმაწვილის ჩვენებიდამ აღმოჩნდა, რომ ერთ-ხელ, როდესაც შეთქმულნი შეკრებილნი იყვნენ ჩვენს პოეტთან და ვახშმის ჭამა დაეწყოთ, ალექსანდრეს ხალისიან გულზე სიტყვები ეთქვა.

ეს ეჭვი და ეს ჩვენება საკმაო შეიქნა ბა-რონ როზენისათვის, რომ იმას ბრძანება გაეცა, დაეჭირათ ალექსანდრე ჭავჭავაძეც. იმასთან შევიდნენ დასაჭერად ჟანდარმები. ალექსანდრემ წესისამებრ მისცა მათ თავისი ხმალი და მერე გადავიდა ინჟინრების სამმართველოში, საცა ცალკე ოთახში დაამწყვდიეს. ალექსანდრემ აქ რამდენიმე თვე დაჰყო. ის ღრმად შეწუხებული იყო, რომ ასეთი შეურაცყოფით მოექცნენ მას, თუმცა კი არ ჰკარგავდა იმედს, რომ ადრე თუ გვიან, მმართველობა მიხვდებოდა თავის შეცდომას და დაჭერილები, ისევ მზეს იხილავდნენ. ის სწერდა თავის თანაპრობილებთან:

„მე ამას ვსტირი, განაწირი, ვაჰ თუ ვერ ..

თვარა-ლა ჟამი, გულთ მაამი კვლავცა იქმნების“.

ამ ღროს თბილისის ქართველობის მდგომარეობა საშინელ სურათს წარმოადგენდა



ოჯახი არ იყო, საცა მწუხარება და ტირილი არ ყოფილიყო. უკეთესი ყმაწვილკაცობა, დედამამის და მამულის იმედნი, რომელნიც შემდეგ დიდი კაცები გახდნენ, დაჭერილნი იყვნენ და ციმბირში გასაგზავნად გამზადებულნი.

ბარონ როზენმა ქართველთა ასეთი ორგულობა შეატყობინა პეტერბურგს, საილამაც გამოგზავნეს საქმის გასარჩევად გენერალი ჩეკვინი (შემდეგში მინისტრი). ამან გაარჩია საქმეები და იმის წარდგენით მმართველობამ გადასწყვიტა გაეგზავნათ რუსეთში ამ შეთქმულების მონაწილენი.

ალექსანდრე გაიგზავნა ვორონეჟს, საცა იმან დაჰყო ოთხი წელიწადი. სხვათაშორის, ამ დროს რუსეთში გაგზავნეს მეორე ჩვენი დიდი პოეტი გრიგოლ ორბელიანი (რიგას), ბატონის რძალი თამარ (კალუგას), დ. ი. ყიფიანი, გ. რ. ერისთავი, ვ. ორბელიანი, დ. ორბელიანი და სხვ.

1837 წელს ალექსანდრე დაბრუნდა ვორონეჟიდან. მისმა სიყმაწვილის მეგობარმა ადლერ-

ბერგმა დიდი შემწეობა აღმოუჩინა მას ამ დაბრუნებაში. ამ წელს ნიკოლოზ პავლეს-ძემ ნახა ჩვენი პროექტი ერთს პარადზე და მის თავგადასავალზე ელაპარაკა.

ჩქარა მთავრობა მიხვდა თავის შეცდომას: ალექსანდრე ხელახლა განაწესეს სამსახურში. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა სამხრეთ-კავკასიაში ჭირი გაჩნდა, მთავრობამ ის გაგზავნა მათდა მოსავლელად. აქ ის თითონ მიდიოდა ავადმყოფების სანახავად; ბევრს ეგონა ალექსანდრე დაიღუპებოდა ამ დროს, მაგრამ საქართველოსგან საყვარელი პროექტი ჭირმა არ წაიღო.

მას აქეთ ხანში შესული ალექსანდრე დღითი დღე იხვეჭდა ქართველთა სიყვარულს. მისი ლექსები, თუმცა ბეჭდვა არ იყო მაშინ გახშირებული, ქუჩა-ქუჩა და სოფელ-სოფელ იმღერებოდა, როგორც ოდესმე აბ . . . ის (გაურკვეველია) ლექსები. დაბალ ხალხში საყვარელს და განთქმულს პროეტს მაღალ საზოგადოებაშიც დიდი კავშირი ჰქონდა, როგორც ნათესაობით, ისე სამსახურით.

როგორც მაგალითი, საჭიროა ეს უბრალო ამბავიც ითქვას: ერთხელ, როდესაც თბილისში თავად-აზნაურობის წინამძღოლის არჩევანი იყო, სხვათაშორის, თავად კონსტანტინე მუხრანსკიმ იყარა კენჭი. ალექსანდრე ჭავჭავაძე მოიწვიეს კენჭის ჩასაგდებად: ალექსანდრე მიუბრუნდა ამ დროს თავად მუხრანსკის ამგვარის სიტყვებით:

„კნიაზო კონსტანტინე, ჩემზე ამბობენ რომ ვითომ მე შენი მტერი ვიყო; რომ დაგიმტკიცო ეს მართალი ჰაზრია, საქვეყნოდ მომიტომევიან თქვენთვის ეს ჩემი შავი ხმაო“ — გამოსწია უჯრას და შავი კენჭი ჩაუგდო. ამგვარი ქცევის შემდეგ მთელმა თავად-აზნაურობამ შავი კენჭი ჩაუყარა მუხრანსკის, რომელიც ამგვარად აურჩეველი დარჩა.

სიკვდილის დროს ალექსანდრე იყო მთავარმართებლის რჩევის წევრი და ჰქონდა გენერალ-ლეიტენანტის ჩინი.

მაგრამ სწორად უთქვამს პოეტს: „ცრუ და მუხთალი სოფელი მიწყვი ავისა მქნელიაო“. 6 ნოემბერს 1846 წელს, როცა ალექსანდრე ჭავჭავაძის ჯანმრთელობა საუკეთესო მდგომ-

მარეობაში იყო, უცებ ქალაქში ხმა გაისმა ჭავჭავაძე მოკვდაო. მთელი ქალაქი მოაწყდა პოეტის სახლს (ჭავჭავაძის ქუჩაზე, ეხლანდელი გოლოვინის პროსპექტის გვერდით, საცა „პარიჟის“ სასტუმროა), ყველას უნდოდა შეეტყუა ასე უცებ რა დაემართა სიცოცხლით და ჯანმრთელობით სავსე პოეტს.

სამწუხაროდ, ქალაქში გავრცელებული ხმა მართალი იყო. ალექსანდრე ჭავჭავაძე იმ დილას, საათის ათზე, გაემზადა ვორონცოვთან \*) წასასვლელად. რაღაც დღეობა იყო და მისალოცავად წასვლა ურჩია მისმა მეუღლემ.

მშვენიერი ყარაბაღელი ცხენი შეება მის „ადინაჩქას“ ქუჩერმა და ალექსანდრე დაეშვა პარადის ფორმით მორთული ჭავჭავაძის ქუჩით. როცა ის დაუახლოვდა გოლოვინის პროსპექტს, უეცრივ ერთმა დედაკაცმა სახლიდამ საპნიანი წყალი გამოიტანა და ქუჩაზე გადა-

---

\*) მ. ს. ვორონცოვი, კავკასიის მთავარმართებელი და მაშინდელი რუსეთის იმპერიის ცნობილი პირი, გენერალ-ფელდმარშალი და დიდი მემამულე.

ღვარა, სწორედ იმ დროს, როდესაც იმას გა-  
უსწორდა ალექსანდრეს ეტლი. ცხენი დაფრ-  
თხა, წაართვა თავი ქუჩერს. შეშინებულმა ქუ-  
ჩერმა მოსძახა ალექსანდრეს: „კნიაზო, მე ამის  
დაჭერა არ შემიძლია, თავს უშველეო“. —  
ალექსანდრემ იფიქრა ქუჩრის მიშველება, წა-  
მოიწია და რომ უნდა სწვდომოდა აღვირს,  
მისი გრძელი შინელის მარჯვენა კალთა მო-  
ჰყვა ბორბალს და ზედ დაეხვია, თეხზე წამო-  
მდგარი ალექსანდრე ძირს გადმოაგდო. ეს  
გადმოვარდნა სასიკვდილო შეიქნა, დაეცა თა-  
ვით. გრძნობამიხდილი ალექსანდრე შეიყვანეს  
სახლში, საცა ცოტა ხანი იცოცხლა.

ის მოკვდა იმავე ღამეს.

სიკვდილის წინ ვორონცოვმა თავისი მეულ-  
ლით ინახულა ავადმყოფი.

რამდენიმე დღის შემდეგ თბილისმა დიდის  
პატივისცემით დამარხა ის. მთელი მოქალა-  
ქობა თავის ამქრებით და ბაირალებით გაჰყვა  
მას საუკუნო განსასვენებელთან. გვამი განსვე-  
ნებულისა დამარხულია კახეთს, შუამთის მო-  
ნასტერში.

\* \*  
\* \*

ჭავჭავაძის ცხოვრების აღწერა არ იქნებოდა სრული, რომ ორიოდე სიტყვა არ გვეთქვა მის სახლობაზე, სანამ მისი ნაწერის განხილვაზე გადავიდოდეთ.

მას ჰყავდა ოთხი შვილი. პირველი — ნინო, დაბადებული 1812 წელს, შემდეგში მისთხოვდა რუსეთის შესანიშნავს პოეტს გრიბოედოვს; მეორე — ეკატერინე (დაბადებული 1816 წელს, მისთხოვდა სამეგრელოს უკანასკნელს მთავარს დავით დადიანს და შემდეგ მისის სიკვდილისა დროებით მართავდა სამეგრელოს. მესამე — დავით, დაბადებული 1817 წ. ამ დავითის ქალზე თამარზე დაიწერა ჯვარი საქართველოს უკანასკნელმა ბატონი შვილმა ერეკლემ. მეოთხე — სოფიო, დაბადებული 1834 წელს, მისთხოვდა რუსეთში სახალხო განათლების მინისტრად ნაყოფ ბარონ ნიკოლაის..

გრიბოედოვის ცოლის გარდა სხვას ყველას დარჩა ჩამომავლობა, რომელნიც ეხლა საქართველოს საუკეთესო ოჯახებს შეადგენენ.



\*  
\* \*  
ახლა პოეტის ნაწერებზე:

ძნელია ლაპარაკი იმ კაცზე, რომელზედაც ნამდვილი ცნობა არა გვაქვს. ამ შემთხვევაში ან აკლებ ამ კაცს ღირსებას, ან ისეთ ღირსებას აწერ, რომელიც იმას არ ეკუთვნის. ალექსანდრე ჭავჭავაძეზე საბოლოო ჰაზრის შედგენა ლიტერატურაში, სანამ მისი ნაწერი ყველა არ დაბეჭდილა და მკითხველ საზოგადოებას არ გაუცვნია, უცნობ კაცზე ლაპარაკსა ჰგავს. ბევრისაგან გაიგონებ ალექსანდრე ჭავჭავაძესთანა პოეტი ამ საუკუნეში არ ყოფილაო, ზოგი ამბობს კიდევ საქართველოში ერთი რუსთველიაო და მეორე ალექსანდრე ჭავჭავაძეო.

უნდა გამოვტყდეთ, რომ ჩვენგან ალექსანდრე ჭავჭავაძის თაყვანისცემა ასე შორს არ მიდის. რასაკვირველია, თუ მუდამ სიყმაწვილეში ყოფნას არ ვისურვებთ, თუ ჩვენ თავს დავინახავთ ღირსეულად, რომ როდისმე მაინც დავივიწყოთ ჩვენი ცოდვების მომტევებელი „გარემოება“ და გავბედავთ ჩვენი ჭკუის ნა-

წარმოებს იმავე მასშტაბით დაუწყეთ ზომვა, რა მასშტაბითაც ზომავენ ყოველგვარ ლიტერატურულ ნაწარმოებს სხვა განათლებულ ქვეყნებში.

ამ სასტიკ კრიტიკული მოთხოვნების წინაშე, როდესაც ყოველგვარ „ადგილობრივ გარემოებას“ დავივიწყებთ და პოეტის ნაწერს განვიხილავთ და დავათასებთ, როგორც პოეტურს ქმნილებას, ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები ჩვენი დროების საუკეთესო პოეტთა ლექსებზე მალლა ვერ დადგება.

მისი თხზულების პირველ ნაწილში, რომელშიაც ოთხმოცდათვრამეტი ლექსია დაბეჭდილი, ჩვენ ვერც კი მიგვიგნია პოეტის დედანობისათვის. ამ ლექსებში არც ბარათაშვილის კაეშანი არის, არც ორბელიანის ცად-აღმფრენი ენა და გრძნობა და წმინდა, ნამდვილი ქართული ხმა, არც აკაკის მამულის სიყვარული, არც ილიას ქნარი.

მართალია ლექსები მშვენიერნი არიან, ერთი ერთმანეთზე უკეთესნი, ისინი ასიამოვნებენ ყურს, იქცევენ გონებას, ხანდახან სწვდე-

ბიან გულსაც, მაგრამ ვერ მიიყვანებენ მკითხველს იმ რაღაც, გამოუთქმელ მდგომარეობაში, რომელშიაც მიდის ის გრიგოლ ორბელიანის უბრალო, ურითმოდ დაწერილ „ფსალმუნის“ კითხვაში, რომელშიაც, როგორც ექსტაზში იკარგება კაცი შილლერის, ბაირონის, ვიქტორ ჰიუგოს, ლერმონტოვის, ნეკრასოვის და პუშკინის კითხვაში.

ეს გარემოება მით უფრო საკვირველია, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე დიდად შესანიშნავია, როგორც ხელოვანი. ისეთი სიმდიდრე ლექსებისა, ისეთი ძლიერი გამოთქმა, ისეთი მოღბილება ქართულის ენისა, როგორც აქვს ჭავჭავაძეს, არც ერთს ჩვენს თანამედროვე პოეტს არა აქვს. ენაზე ხომ ლაპარაკიც არ არის საჭირო. იმაზე უკეთესი მოქართულე არ უნახავს ჩვენს საუკუნეს... ამასთან ჭავჭავაძემ, რომელმაც ასე ზედმიწევნით იცოდა რუსული, ფრანგული და ნემეცური ლიტერატურა, რომელმაც ასე ჩინებულად თარგმნა ვოლტერის ბევრი ლექსები, კორნელის სონა,

რასაკვირველია, ლექსების ზომაც იცოდა, იცოდა რა გვარად უნდოდა კაცის გულთან მუსიკით და არ უნდა გასჭირებოდა ეს ლაპარაკი, მაგრამ, ჩვენის აზრით, იმან თავისი ცოდნა არ მოიხმარა საქმეზე და ისე ილაპარაკა, რომ გული უგრძობი დარჩა.

რატომ? იმიტომ, რომ აქ ჩვენ ისტორიულ ნიადაგზე უნდა შევდგათ ფეხი და იმ გარემოებას უნდა მიუბრუნდეთ, რომელსაც, როგორც ისრაელების თხას ვაბრალებთ ჩვენ ჩვენს ცოდვას, — იმიტომ, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე ისეთ დროში ცხოვრობდა, რომელშიაც სხვანაირად წერა შეუძლებელი იყო.

პოლიტიკურად და სამოქალაქოდ დასუსტებულ საქართველოში, ალექსანდრეს ყმაწვილობის დროს, სუფევდა ანტონ კათალიკოზის\*) ფილოსოფიურ-ღვთისმეტყველური

---

\*) ანტონ კათალიკოზი — ვახტანგ მეექვსის ძმის იესეს შვილი, მწერალი, არქაისტი; მის კალამს ეკუთვნის მრავალი უმთავრესად სქოლასტიკურ-დოგმატიკური ხასიათისა. ამ ანტონ კათალიკოზის მოღვაწეობის დახასიათების შესახებ ვრცელ და საინტე-

სწავლა და კაცთაგან გაუგონარი და მიუგნებელი ქართული ენა, „ვეფხისტყაოსანი“ განიდევნა ოჯახებიდან; ქართულ გრამატიკას

---

რესო ცნობას იძლევა ი. მეუნარგია გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფიის იმ დაუბეჭდავ ნაწილში, სადაც იგი არჩევს გრიგოლ ორბელიანის ნაწერებს — „ნახევარი საუკუნის დაუცხრომელის შრომით და ღვაწლით — ამბობს მეუნარგია — მან (ანტონმა, ს. ც.) შეადგინა ქართულ ენაზე: წყობილსიტყვაობა, ფილოსოფია, რიტორიკა, გრამატიკა, ლოლიკა, მეტაფიზიკა, ფიზიკა, კატეხიზმი და სხვ.. მისი ენა რუსულ-ლათინურზე გამოჭრილი, ნაძალადევი გამოდგა და მაშასადამე ქართულის ენის ხასიათს მოკლებული, გაუგებარი“... შემდეგ მოყავს ადგილები ანტონის ფილოსოფიური თხზულების „სპეკალი“-დან და სვამს კითხვას: „ბევრი გაიგეთ?.. და ამ ენის „გაუგებლობის“ და ხალხიდან მოწყვეტილობის საკმაოდ დამტკიცების შემდეგ დასძენს: „მეფე გიორგი, რომელსაც თვით ბიძა მისი ანტონ კათალიკოზი უკითხავდა, მეკვიდრობის დროს, თავის ფილოსოფიას, ენერგიულად იტყოდა: „არა მესმის ესე, ვნაყავ წყალსა“. ღმერთო შეგცოდდე და მგონია ამ მეფეს მთელი მისი სამეფოც ეხმარებოდა წყლის ნაყვანში“-ო — დასძენს ხუმრობის კიდოთი ავტორი.

ანტონი გარდაიცვალა 1788 წ.

ს. ც.

ლათინური სახე მიეცა და გამოგონილ იქნა მაღალი სამწერლო ენა, რომელიც ხალხისათვის მიუწვდომელი შეიქნა. ამგვარ მდგომარეობას კიდევ ერთი, ახალი, რუსული ენა მიემატა და მწერლობა სულ აირ-დაირია.

ამ მდგომარეობაში იყო ჩვენი ლიტერატურა, როდესაც ალექსანდრემ დასწერა პირველი ლექსი (სამეგრელოს დედოფლისაგან გაგვიგონია — მამა ჩემმა 15 წლისამ იწყო წერაო). ყველას ადვილად შეუძლია წარმოიდგინოს, თუ რა შემავიწროვებელი პირობა არის მწერლისათვის ასეთი მდგომარეობა. ხელ-ფეხი რომ შეუკრა კაცს, წყალში ჩააგდო და უთხრა იცურეო, სწორეთ იმას ეძგვანება, რომ პოეტს უთხრა ამ პირობაში: აბა აიღე ქნარი და ემუსაიფე ჩემს გულსო. ერთი დრო იყო, როცა ფრანგულ ლიტერატურაში შეუძლებელი იყო გეთქვა „შუადღე არისო. უნდა გეთქვა: „მეთორმეტემან საათმან დაჰკრა უკანასკნელი ზარი“. ალექსანდრესაც უნდოდა თუ არ უნდოდა ამგვარი „მაღალი ფრაზებით“ უნდა ელაპარაკა ამ საუკუნის დასაწყისში.



არ ვამბობთ, რომ ამკვარი ლაპარაკი მაინც და მაინც ნაძალადევი ყოფილიყო მისთვის. საქმე იმაშია, რომ მისი ენა დროს ვერ წაუვიდა და ენასთან გრძნობაც ურთა აღკვეცილი დარჩა.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოეტს ვინმემ ენა დაუწუნოს. ვიშეორებთ მისი ენა შეუდარებელია, მაგრამ ენის კილო ყოველთვის როგორღაც დარბაისლურია, ყოველთვის მაღალი, თითქო ვინმე ოთხმოცი წლის სენატორის სიტყვა გესმის; კალამი ყოველთვის შეკაკებულია და განცხრომით სავსე, თითქო მთელი თავის სიცოცხლე პოეტს წითელ მაუდით გადაფარებულ მაგიდაზე ეწეროს.

ამგვარი წერის კილო ჯერ ეამება კაცს, მაგრამ მერე მალე მოსწყინდება. ბუალომ\*) მცნებად დაუდვა პოეტებს, წერის დროს ყოველთვის ერთიდაიგივე ენა არ ეხმარათ. მეორე ფრანცუზმა მწერალმა ფენელონმა\*\*)

---

\*) საფრანგეთის გამოჩენილი მწერალი — ნიკოლოზ დეპრეო ბუალო (1633 — 1711).

\*\*\*) ფრანსუა სალ. ფენელონი (1651—1715).

მართლაც სთქვა: „მე ისეთი პოეტი მიყვარს, რომელიც მაღალს რასმე დასწერს, მაგრამ ისეთის უბრალოს ენით, ისე ტკბილად, რომ ყოველმა კაცმა იფიქროს მეც შევიძლებდი ასეთი ლექსის დაწერასო“.

ეს უბრალო ენა და სიტყვო აკლდა ჩვენს პოეტს. მისი ლექსი გაჭედულია და ჯაჭვსავით აცმული ერთი ერთმანეთზე, ჯაჭვსავით მაგარი და ცივი.

ეს არის პირველი და უმთავრესი ნაკლოვანება ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებისა. ენა, რომელიც, ჩვენის ჰაზრით, მონახევრეა ლექსთ წარმატებისა, ვერ არის ფენელონის არ იყოს, უბრალო და ტკბილი.

ეს ნაკლულევანება თავის მხრით იმის მიზეზია, რომ მისი მაღალი გრძნობა, მისი ლექსის ტექნიკა, მისი ნიჭი იმდენად არ მოქმედებს ჩვენზე, როგორც მაგ. ნ. ბარათაშვილის ლექსები.

ავიღოთ რომელიც გსურთ ლექსი ჭავჭავაძისა „ვარდო-კოკობო“ მაგ. პოეტი იტყვის:

, ვარდო კოკობო, ყოვლთა მჯობო,  
 მომხედე კრულსა,  
 მე შენსა მკვრეტსა, განამეტსა  
 თვალდაურულსა.  
 მოვედ მეკონე და მიმონე, მეწამლე  
 წყლულსა,  
 აღთქმა გრძნობითი, წამ-ყოფითი  
 სულ უქმენ გულსა“.

ჩინებულია ეს ლექსი, როგორც ფაქტურით, ისე ენის სიმდიდრით, თუ გინდა გრძნობითაც, ეს ერთი ხანა დაამშვენებდა რომელიც გინდა რომანტიული დრამის მონოლოგს, მაგრამ როგორც ლექსი, ის გულს არ მოიყვანს აღძვრაში, იმიტომ რომ ეს სხვაგვარად არის თქმული და გული კი სხვაგვარ ენას არის დაჩვეული. ძნელია ამ გულის წადილის აღწერა ისე, როგორც ძნელია სიყვარულის განმარტება. ნათქვამია, ტონი სიმღერას შეიქმსო. აქ ტონი კი არა, სხვადასხვა სიტყვაა, რომელიც სხვადასხვაგვარად მოქმედებენ გამგონის გულზე\*)...

\*) აქ წყდება ეს ნაწარმოები. ცხადია, დაუმთავრებლად. და რომ დაუმთავრებელია ამის შესახებ წინასიტყვაობაში მოგახსენეთ აქ დასმული წერტილის შემდეგი დაუმთავრებელი აბზაცის ციტირებით.

ს. ც.

## თავ. ალექსანდრე ჭავჭავაძე

დაიბადა პეტერბურგს 1786 წელს. მამა მისი გარსევან, შესანიშნავი ქართველი დიპლომატი, რომელმაც დაიწყო და ბოლომდის გაიყვანა საქართველოს რუსეთთან შეერთება-დაკავშირება, იყო გაგზავნილი ელჩად პეტერბურგს მეფე ერეკლესაგან 1783 წელს. იმან ჯერ ხელი მოაწერა გეორგიევსკის ტრაქტატს, რომლითაც გამოცხადდა საქართველოში რუსეთის მმართველობა და შემდეგ ამავე ტრაქტატის თანახმად მიიღო ელჩობა რუსეთის იმპერატორის ეკატერინე მეორის კარზე.

მეფე ერეკლეს თავის კარის კაცებში ჭავჭავაძეზე უფრო სანდო და თავიანი კაცი სხვა არავინ ეგულებოდა.

მეფე გიორგი სიკვდილის სარეცელზე ეუბნებოდა ლაზარევს „თუ ჭავჭავაძემ ჩამომისწრო სიკვდილს არ ვინაღვლებო“. მართლაც ერთ დროს ბედი და უბედობა საქართველოსი ამ კაცის ხელთ იყო.

საქართველოს დაწიოკება მტერ-მოყვარეთაგან, ხალხის სიღარიბე, ბატონისშვილების ერთმანეთთან უთანხმოება, მეფის უფლები, დამცირება, დარეჯან დედოფლის განუსჯელი პოლიტიკა, ლეკების შენახვა (მეფე ერეკლე 10 ათას ლეკს ქირაობდა, მეფე გიორგი 7-ს)ს ყიზილბაშის, თათრის, ლეკის და ვინ გინდა აზიელ ხალხების შიში — ყველა ეს ისეთი მიზეზი იყო, რომლითაც მეფე ერეკლეს და მის მინისტრს ჭავჭავაძეს ხელი მოაწერინეს გეორგიევსკის ტრაქტატზე.

ამ ტრაქტატით საქართველო დარჩა, როგორც ადრე, ცალკე სამეფოდ თავის მეფით და კანონმდებლობით, ხოლო მის მოპასუხედ შეიქნა რუსეთი და მისი ჯარი. საქართველო მოგებაში იყო, მაგრამ სანამ რუსეთი განახორციელებდა თავის აღთქმას მოხდა ახალი

უბედურება — ალა-მაჰმად-ხანმა საქართველო  
ააოხრა და ომარ-ხანმა და ბატონიშვილებმა  
დამშეულ წურბელებივით წამოჰყვეს თავი.

გიორგი მეფემ და მისმა ძველმა მინისტრმა  
ისევ რუსეთის კალთას მიმართეს ხელი. სა-  
იღუმლოდ, ბატონიშვილებსა და დარეჯან დე-  
დოფლის ცოდნის გარეშე, მეფე გიორგიმ გა-  
გზავნა პეტერბურგს გ. ჭავჭავაძე და ორი სხვა  
თავადიშვილი იმ განზრახვით, რომ ეთხოვნა  
ხელმწიფისათვის საქართველო სრულიად შეე-  
ერთებინა რუსეთისთვის და ემართნა, რა კა-  
ნონითაც იმას ენებებოდა, მხოლოდ იმ პირო-  
ბით, რომ ბაგრატიონებს დარჩენოდათ მეფის  
ტიტული და ქვეყნის მართვა.

რუსეთმა ეს პირობა მიიღო, მაგრამ სანამ  
ამ პირობას ხელს მოაწერდნენ პეტერბურგში  
და თბილისში, მეფე გიორგიც გარდაიცვალა.  
ამას იქით ჩვენს საქმეზე რუსეთის პოლიტიკა  
გამოიცვალა. 18 დეკ. 1800 წ. იმპერატორმა  
პავლემ გამოსცა მანიფესტი, რომლითაც სა-  
ქართველო სრულიად შეუერთდა რუსეთს.



გარსევანს იმედი გაუცრუვდა. ბაგრატიონებმა საუკუნოდ დაჰკარგეს საქართველოს ტახტი. ელჩმა მეცადინეობა გასწია გამოებრუნებინა წაგებული საქმე, მოსწერა საქართველოში თავადიშვილებს, გაეგზავნათ თხოვნა ხელმწიფის სახელზე, მაგრამ გვიან-ლა იყო. წასულ საქმეს არას არგებდა „ბოლოს-ლათითა კბენანი“. ყველა უკმაყოფილოთ რუსეთის მთავრობისა, დაერთო მეფე გიორგის პარტიაც და ქართველებმა განიზრახეს მიეღოთ ძალით ის, რასაც არ ანებებდნენ ნებით. ქართლ-კახეთში გაიმართა რუსეთის წინააღმდეგ პროპაგანდა. მალე დაბრუნდა რუსეთი-დამ გარსევან ჭავჭავაძეც.

რომ შეიტყვეს იმის დაბრუნება რუსეთი-დამ, ყაზიბეკზე მიეგებნენ იმას აღალარები 200 ცხენოსანი კაციით\*) და ჩამოიყვანეს ქალაქს, როგორც მთავარი ვინმე.

ხალხში ხმა გავარდა: ჭავჭავაძეს ახალი მინდობილება აქვს ხელმწიფისგანო და წიგნი

---

\*) Акты

წიგნზე ეცემოდა ბატონიშვილებისაგან, რომელნიც შემწეობას სთხოვდნენ.

თუმცა გარსევან მაღავედა, მაგრამ მაინც ბატონიშვილების მომხრე იყო და ბაგრატიონების ხელახლა გაბედნიერებას ლამობდა. ჭავჭავაძემ ამ საგანზე საზღვარგარეთაც გამართა მიწერ-მოწერა, როგორც მოწმობს იმ დროის მთავარმმართველი კავკასიისა კნორინგი.

მოწინააღმდეგეთა დასს არც მთავრობა უყურებდა გულხელდაკრეფილი.

\*  
\* \*

ძველი ქართლის მემკვიდრეობა ხელთა აქვს დღეს მესამე მოდგმას. ცხოვრების ასპარეზზე გაჩნდა მესამე თაობა, შვილისშვილის შვილები, რომელნიც ძლიერ დაშორებიან თავიანთ... (უნდა იყოს „წინაპრებს“, გაურკვეველია. ს. ც.).

კიდევ ათი წელი და საუკუნეც შესრულდება მას აქეთ, რაც საქართველო შეუერთდა რუსეთს. საუკუნე, ე. ი. სამი თაობა გალაგდა ამ სოფლიდამ — წარსულის საუკუნის მოწმენი. ყოველდღე ლაგდებიან ამ საუკუნის მეკვლენიცა, რომელთაც ძველი ქართლი უნა-

ზაფხუ და მის სამარეში თითო მუჭა მიწა მი-  
უყრიათ, ჩაუტანებიათ. რაც უფრო ვზორდე-  
ბით ჩვენ ამ დროს, უფრო და უფრო აწყდე-  
ბა მას ის ძაფები, რომლითაც მილანდულია  
იგი ძველ დროებასთან, თუ რამე არ მოუხერხ-  
და ამას — სანამ დრო კიდევ არის — თუ არ  
გამოვიძიეთ მეტადრე პირველი ნახევარი ამ  
ასეულისა, ეს საუკუნე, ეს გრძელი და ტვირთ-  
მძიმე საუკუნე ისეთივე მჭლე და უცნობი სა-  
უკუნე იქნება ჩვენთვის, როგორიც არის სხვა  
საუკუნეები „ქართლის ცხოვრებისა“, თარგა-  
მოსილამ \*) დაწყებული ასპინძის ომამდე.

ამის გამო, მე ყოველთვის ბედნიერად ვთვლი  
ჩემს თავს, როდესაც ჩემი სამწერლო ეტიუდე-  
ბის საგნად მომხვდება ისეთი პირი, როგო-  
რიც არის თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე.

საქართველოს სამეფოში ეშყაბაშად ნამყო-  
ფი, რუსეთის იმპერიის გენერალ-მაიორი ალექ-  
სანდრე ჭავჭავაძე, ყველა, ამ საუკუნის მწერ-

---

\*) თარგაშასი — მითითური პირი, ქართლოს, ჰაოსთა  
და სხვათა წინაპარი.



ალექსანდრე ჭავჭავაძე

ლებზე უფრო საუკუნეთა შემაერთებელი მწერალი და პოლიტიკური მოქმედი. მისი ცხოვრების აღწერა თითონ დაგანახვებით რაა უფრო საინტერესო ჭავჭავაძეში, მწერალი თუ უბრალო, კერძო პირი, თუ საზოგადოდ მომქმედი, შეინახე\*...

---

\*) ეს ვარიანტი აქ წყდება, რომლის გაგრძელების ნაშთები დასახელებულ არქივში ჯერჯერობით არ ჩანს.

## II. მეუნარგიას ზოგირითი ჩანაწერი ალექსანდრე ჭავჭავაძის შესახებ

დაბირებისამებრ აქვე ვჯრთავ ზოგიერთ ამონაწერს იონა მეუნარგიას იმ „სამახსოვრო წიგნიდან“ რომლის ნხილად რამდენიმე გვერდი-დაა გადარჩენილი დღემდე. ამ წიგნში ცხადია, ალექსანდრე ჭავჭავაძეს უფრო მეტი ადგილი ექნებოდა დათმობილი ან, უკეთ რომ ვთქვათ, დაკავებული, მაგრამ ძალიან ცოტა გადარჩენილა და ისიც ძნელად ამოსამარცვლი, ამოსაკრფი და თვით მეუნარგიას სიტყვითვე რომ ვთქვათ „მოსაქუჩებელი“.

შეიძლება დიდი რამ მნიშვნელოვანი არ დარჩეს ეს მინაწერები, მაგრამ ზოგიერთი შტრიხის მომცემი მაინც ხომ დარჩება და ესეც ერთგვარი დადებითი მონაპოვარი იქნება საკითხის გაშუქებისათვის.



1  
ანი ესენი ც:

ალექსანდრეს (ჭავჭავაძის, ს. ც.) ქალი ნინო გრიბო-  
ედოვისა რომ დაიბადა, მაშინ ერთს ქვევრში დვინო  
ჩაასტეს მის საქორწილად. 17 წლის შემდეგ (ე. ი. ნი-  
ნოს გათხოვების დროს, ს. ც.) მოხადეს და ჩინებული  
ღვინო შეიქნა.

2  
„ალექსანდრემ 15 წლისამ იწყო წერა“ (უთქვ. მს  
მის ქალს — სამეგრელოს დედოფალს, ეკატერინეს, ს. ც.).

კონსტანტინე დადიანი: \*)

3  
შემოდკომის მზე რომ მთაწმინდის უკან დაიმალე-  
ბო და მეოთხე მეხუთე საათზე, ბანზე იყო ყრადღობა, სა-  
დაც მიირთმეოდნენ დუთმას და ალექსანდრეს (ჭავჭავა-  
ძის, ს. ც.) ღვინოს;

ერთხელ სტოლიპინმა \*\*) უთხრა: ამ ღვინოს რიუმე-  
ბით უნდა სვამდნენ, ალექსანდრემ ჩვეულებრივად მარ-  
ჯვენა ხელი მოუსვა თავის მარჯვენა ყურის უკანა მხა-  
რეს და უთხრა: **А кто вам мешает если угодно  
пить от стакана пиво?..**

\*) სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის ძმა, გე-  
ნერალ-ლეიტენანტი; ალბათ ამისგან აქვს გაგონილი  
მეუნარეიას ეს ცნობა. ს. ც.

\*\*) სტოლიპინი... ყოველ შემთხვევაში ცნობილი დი-  
დი სტოლიპინი არ არის, უნდა იყოს ვინმე სამხედრო  
პირი იმდროინდელი 1835 წლებიდან ვიდრე 1846  
წლამდე.



3  
ალექსანდრე ჩონგურზე ს. უკეთესოდ უკრავდა.

ნიკოლოზ ჩარკვიანმა \*) გრ. დადიანის \*\*) (კოლხიდელის, ს. ც.) ლექსი უთხრა აღ ჭავჭავაძეს:

4  
Каждый любить существовать  
Где родился тот селения,  
Не может без его  
Если есть как я чувствительный.  
Золото не имею, не надо  
Слаби сердца высохнѣла.  
Вино довольно для питания  
Холст тело согретения.

ალექსანდრე ჭავჭავაძემ პასუხად უთხრა:

Великий поэт Чарквиания  
Кажду душу согревания \*\*\*).

1852 წლამდის, ე. ი. სანამ არ გაჩაღდებოდა ბეჭდვა ჩვენში, ალექსანდრეს (ჭავჭავაძის, ს. ც.) ნაწერები

\*) ჩარკვიანი... ვერ გამოვარკვიე ცნობილი გამომცემლის და მესტამბის გრ. ჩარკვიანის მახლობელი თუა ვინაა?

\*\*) გრ. დადიანი, მწერლობაში კოლხიდელი, მთავრის დავით დადიანის ძმა, გენერალ-ადიუტანტი.

\*\*\*) დაცულია ხელნაწერის მართლწერა. ს. ც.

ვტელდებოდა ხელნაწერად, შემდეგ ბეჭდავდა ჟურნალში „ცისკარში“ გიორგი ერისთავი.

კარგი ლექსი ის არის, რომელიც პროზად გადაითარგმნება და მაინც სიამოვნებით იკითხება, აი როგორც დონ-ჟუანი, თორემ ლექსი თუ მარტო რითმაზეა დაწყობილი და ამ რითმის მეტი სხვა არაფერი ღირსება არა აქვს, მეორე გვერდზედვე იგრძნობ ფუქსავატობასა და სიკოტრეს, მესამეზე კითხვა გაგიჭირდება და მეოთხეზე წიგნს ხელიდამ უშვებ.

იოანე ნათლისმცემლის არქიმანდრიტი ექვთიმე სწერს კნორინგს (1802 წ., 25 აპრ.): ბერები ამიბუნტდნენ, რათ მიაცემინე საქართველო რუსეთისთვისა და... საქმე ჩემი ყველაფერი ალექსანდრე ჭავჭავაძემ და მაიორმა სააკაძემ (?) იცოან...

დენერალ-მაიორი ორბელიანი სწერს ვოლკონსკის და ვოლკონსკი ციციანოვს (15/IX -- 1804) „14 ამ თვეს დავით ყორჩიბაშევმა და თელავის კომენდანტმა გეინმა შემატყობინეს, რომ 13-ს დიდი ხალხი შეყრილა ალავერდობაში და 14-ს სადამოთი ალავერდის პრიხოდის არქიმანდრიტი ბესარიონ ერისთავი, ალექსანდრე ჭავჭავაძე (ხაზი ავტორასა, ს. ც), დიმიტრი ბარამ, ფლახა ყორჩიბაშევები, სვიმონ, იოსები, ევგენი, გოგია ქობულაშვილები, მაიორი ნახვანოვი, ალექსან-

დრე ანდრონკაშვილი, აბელ ჩოლოყავეი, პაატა დი-  
მიტრი, იოსებ (გვარი გაურკვეველია, ს. ც.) წაყდნენ.

К Церковному переходу (?) находящ. в под-  
местии Пшаветии и Хевсурии удалившийся кня-  
зей и дворян, а войско его (?) из 400 лезгии на-  
ходится в Сагурамо...

ფარნაოზი აქედამ სწერდა, რუსები მალე განიდევ-  
ნებიან, შახი ჩვენი მფარველია, ჩვენ ვძლიეთ ორჯერ  
კიდევცო..

ფარნაოზთან \*) თელავის კაპიტან-ისპრავნიკის და-  
ნესენით წასულა სულ 28 თავადი. Александр сын  
Гарсевана-ს — უჭირავს სპისოკში ოცდამეშვიდე (ალ-  
ბად ადგილი, ს. ც.). ახნაუზი 7. ერთიც არქამანდრიტი.

პამბაქის ალაღარების დაფიცების დროს ალ. ჭავ-  
ჭავაძემ დადი შემწეობა აღმოჰჩინა (Лазарев Кно-  
рингу 28 июля 1801).

ამბობენ, ალ. ჭავჭავაძე, ბესიკა თქვენ ვერ გაუკებ-  
თო, ის უნდა იმღეროს კაცმა, უნდა იცოდეს სპარსული  
პოეზია და სხვ. დაიცათ, დაიცათ, თუ აქ სიმღერაზე  
და მუსიკაზეა სჯა, მე არას ვიტყვი, რადგანაც ეს არ  
შედის ლიტერატურული კრიტიკის წრეში. თუ კი სი-

\*) ბატონიშვილი — ბაგრატიონი.

ტყეებზე, გრძნობებზე და პოეზიაზეა საქმე, ქართულად დაწერილი ლექსი გულის უნდა ხვდებოდეს.

რას კითხულობ, შენ ეს ღვინო დალიე,  
სხვასაც სწყურის, ნულარ დაახვალე.

(არ ჩანს ვისია, ს. ც.).

აღ. ჭავჭავაძის წიგნზე — ლექსების კრებულის პირველ ნაწილში მოქცეულ ზოგიერთ ლექსზე — მინაწერები ი. მეუნარგიას ხელით:

გვ. 77, ლექსი „მართას ავადყოფობა და ექიმის ნახვა“ ს მიწერილი აქვს: „კნ. ავალოვა, ბ...ის ცოლი ნინას ძიძა, ქვრივი იყო და ჩვენთან ცხოვრობდა. ხელსაქმე კარგად იცოდა (საჭეგრელოს დედოფლის ცნობა).

85 გვ. ლექსზე „აჰა ესე ვარდ-ზამბახნი“... მიწერილია „თავის ქალზე ნინოზე (კოლა ერისთავი) — ალბად კოლა ერისთავმა თუ მიაწოდა ეგ ცნობა, ს. ც.).

95 გვ. ლექსი: — მე შენ არ გეტყვი — ყაფიან ორბელიანი მღეროდაო.

99 გვ. ლექსი — სვემ მიწვიმა მანანა — მიწერილი აქვს: „მანანა — ბიცოლა დავით ორბელიანის ცოლი“. იმავე გვერდზე. ლექსში: — თავსა უფლად ნურვინ ჰვინებთ. — თვზის თქვენცა ტრფიალება, — სიტყვა „ერთგზის“ გადასწორებულია ფანქრით: — ერთხელად, —

სტრიქონი: „ჭირი ვერად შემიპყვიდა“, გადასწორებულია ფანქრით ი. მეუნარგიას ხელით ასე: — ფიქრსა ვერვინ შიმირყევდა — და ქვეშ მეუნარგიას ხელითვე არის მიწერილი: — „დედოჯლის (ე. ი. ეკატერინეს, ს. ც.) ხელით გადასწორებული“ — იონა. (ცხადია დედოფალი — ქალი ალექსანდრე ჭავჭავაძისა ამ შემთხვევისათვის ყველაზე უფრო სანდო წყაროდ მიაჩნდა სკვლევარს, ს. ც.).

103 გვ. პუშკინის ლექსის „ანჩარ“-ის თარგმანს მეუნარგიას ხელით გვერდზე უწერია: Имел обыкновением писать не К.... (გაურკვეველია) Ходит и так писать...

(საინტერესოა თუ ვისზეა ნათქვამი, ს. ც.).

105 გვ. ლექსს „გოგჩა, ტბა ვრცელი“ — მიწერილი აქვს: последнее сочинение .... написано 1846 (აღბათ სხვა ნაწარმოებზე თუა, თორემ ხსენებულ ლექსს ხომ აქვე უხის თარიღი 1841 წ. მარტი... ს. ც.).

115 გვ. ლექსზე „საჰარის ხმაზედ“ — „Перевод кн. Одоевского, ეს მაზურკათ გადაკეთებული იყო. და მაზურკის ხმით მღეროდნენ.

იქვე სტრიქონები: „დამისაკუთრე ბუღბუღსა, მაშინ ნახავ ჩემს უსულსა“, ფანქრით ი. მეუნარგიას ხე-



ლით ასეა შესწორებული: დაუსაკუთრე ეგ ბუღბუღს და მაშინ ნახავ ჩემს უსულს“ ამავე ლექსს ბოლოში მიწერილი აქვს: — ხეპირად წაიკითხა — ვის უნდა წაეკითხა... ცხადია, თუ კი მეუნარგიას მოუსმენია (და რომ მოუსმენია აშკარაა, სამეგრელოს დედოფალს ეკატერინეს წაუკითხავს. მას როგორც ირკვევა მამის ლექსებიდან ხეპირად ბევრი სცოდნია. ან თვით ეკატერინეს ცნობა თუა მეუნარგიასადმი მიწოდებული აღ. ჭავჭავაძის შესახებ.. მაგრამ მე მაინც პირველი უფრო სწორი მგონია, ს. ც.

დასასრულ კიდევ ერთი ფაქტი: სწორედ ალექსანდრე ჭავჭავაძის ამ საბიოგრაფიო მასალებში აღმოჩნდა ერთი პატარა, უბის წიგნაკის გვერდზე უბრალო ფანქრით შესრულებული ნახაზი — სურათი ქალისა ქართულ სამოსელში, გულზე ჯვრით და მძივებით, თავზე გვირგვინით და ცალის ხელით მკერდზე დაკრეფით, რომელსაც ქვეშ უწერია: „მარიამ — გარსევან ჭავჭავაძისა“ — ე. ი. უნდა იყოს ვითომ ალექსანდრეს დედა, მეუღლე გარსევან ჭავჭავაძისა, მარიამ ავალოვის ასული... საინტერესოა ნახაზი თუ რამდენად მიუდგება ნამდვილ სურათს, ვინაიდან ძლიერ უხეშად არის შესრულებული (ვფიქრობ ი. მეუნარგიას ხელით, ალბად უბრალო ვარჯიშობით, ფიქრის დროს).

ყველაფერი ეს ცხადად მოწმობს თუ რამდენად და-  
ინტერესებულა მკვლევარი ალექსანდრე ჭავჭავაძის  
ცხოვრების აღწერით, მაგრამ თუ მიზანი მიუღწეველი  
დარჩა, უთუოდ უამრავა დამაბრკოლებელმა მიზეზებმა  
თავისი გაიტანეს, და ავტორმაც ეს ნაწარმოები რო-  
გორც სუსტად მიჩნეული საზოგადოების სამსჯავროზე  
არ გამოიტანა.

მაგრამ ამჟამად, როცა გაცხოველებულია ინტერესი  
კლასიკოსების შესწავლისადმი, მათი მემკვიდრეობა სა-  
ბჭოთა კულტურის საღაროს ერთერთ ძვირფას განძად  
მიჩნეულია და მთელი გულისყური მიპყრობილია წარ-  
სული საუკუნის შესანიშნავ ეპოქათა შესწავლისაკენ,  
ალექსანდრე ჭავჭავაძის, ამ თავისი ეპოქის წამდვილი  
შვილისა და ისტორიული პირის საბიოგრაფიო მასა-  
ლებიც ყურადღებისა და საზოგადოებაში გამოტანის  
ღირსია.

სრულ. ცაიშვილი.

---



894.63.09

2607

ს ა რ ჩ ე ვ ი

	83
შენიშვნები . . . . .	5
ალექსანდრე ჭავჭავაძე . . . . .	19
ალექსანდრე ჭავჭავაძე (ვარიანტი) . . . . .	51
ი. მეუნარგიას ზოგიერთი შენიშვნები ალექსანდრე ჭავჭავაძის შესახებ . . . . .	59

---

894-63.09

7 601

ფასი 2 მან.

Иона Меунаргия

АЛЕКСАНДР ЧАВЧАВАДЗЕ